

## საკითხები დოგმატიკაში დოქტორანტურის მისაღები გამოცდებისთვის

1. დოგმატის რაობა. დოგმატი და იკონომია (განგებულება). დოგმატი და წმინდა წერილი.
2. ტერმინები “დოგმატი” და “დოქსა”.
3. წმინდა გარდამოცემა და დოგმატი.
4. საეკლესიო ღვთისმეტყველების დოგმატური (სჯულდებითი) და დოქსატური (ძიებითი) ასპექტები.
5. ტერმინები “დოგმატი”, “ორთოდოქსია” და “ორთოდოქსი” ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში (პირველისთვის: “რჩული”, “მცნებად”, “ბრძანებად”, “რწმენითი სჯული”, “რწმენად”. მეორისა და მესამესთვის: “სიმართლედ სჯულისად”, “სჯულმართალი”, “მარლიად დიდებად”, “მართლდიდებად”, “მართლმადიდებლობად”, “მართლმადი-დებელი”, “მართლმთნებელობაი”).
6. დოგმატი ყოვლადწმინდა სამების შესახებ (ზოგადი მიმოხილვა).
7. წმ. დიონისე არეოპაგელის სწავლება შეერთებული და განყოფილი ღვთისმეტყველების შესახებ.
8. დოგმატი მამა ღმერთის ჰიპოსტასის შესახებ (თვისება “მამობა”, ანუ რაც იგივეა “უშობელობა”, “არავისგან გამომავლობა”, “მშობლობა”, “გამომავლინებლობა”, “უმიზეზობა”).
9. დოგმატი ძე ღმერთის ჰიპოსტასის შესახებ (თვისება “ძეობა”, ანუ რაც იგივეა “მარადიული და დაუსაბამო შობილობა”; “მხოლოდშობილობა”, “მიზეზისგანობა”, ანუ “მამისგან მიზეზოვნობა”, ანუ “მამისგან ნამიზეზოვნობა”).
10. დოგმატი სულიწმინდის ჰიპოსტასის შესახებ (თვისება, “სულობა”, ანუ რაც იგივეა “მამისგან გამომავლობა”, “ძეში დავანებულობა”, “მამისგან მიზეზოვნობა”, “მამისგან ნამიზეზოვნობა”).
11. ტერმინ ჰიპოსტასის საღვთისმეტყველო რაობა და ამ შინაარსის დამტვევი სხვა ტერმინები (“ატომონ”, ანუ “ინდივიდუუმ”, ანუ “განუკვეთელი”; “პროსოპონ”, ანუ “პერსონა”, ანუ “პირი”; “ხარაკტერ”, ანუ “ხატი”, “ხატებად”, “ხატოვნებად”; “იდიონ”, ანუ “თვისით”, “თვისებებად”).
12. ტერმინი “უსია” (“არსება”) საღვთისმეტყველო გაგებით და ამ შინაარსის დამტვევი სხვა ტერმინები (“ფიუსის”, ანუ “ნატურა”, ანუ “ბუნება”; “თეოტეს”, ანუ “ღმრთეება”; “მორფე”, ანუ “ხატი”, “ხატებად”, “ხატოვნებად”; “ეიტოს”, ანუ “სახე”, ანუ “გვარი”).
13. ტერმინ “არსებისა” და ტერმინ “გვამოვნების” ურთიერთმიმართება საღვთისმეტყველო გაგებით.
14. სწავლება ყოვლადწმინდა სამების, ანუ სამი თვითმდგომი ჰიპოსტასის ერთარსების შესახებ. წმიდა სამების დამადასტურებელი ადგილები ძველ და ახალ აღთქმაში ტრითეიზმის ანუ სამღმერთიანობის ერესი. თვითმდგომ ჰიპოსტასთა – მამის, ძისა და სულის – ე. წ. დამოუკიდებლობის მწვალებლური (ტრითეისტული) არსი.
15. სწავლება ერთარსება ღმერთის სამობის ანუ სამჰიპოსტასოვნობის შესახებ. ერთჰიპოსტასობის იუდეველური გაუკუღმართება. საბელიანიზმის ერესი თავისი ორი ფორმით (მოდალიზმი და დინამიზმი).
16. ტერმინი “ჰომოუსიოს” და მისი ძირითადი ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისები (“ერთარსება”, “ერთარსი”, “თანაარსი”, “ერთუნჯება”).
17. დოგმატი მამის “უმიზეზობის”, ხოლო ძისა და სულის მამისგან “მიზეზისგანობის” შესახებ (ბერძნული ტერმინი “აიტიატოს” და მისი ძველი ქართული შესატყვისები: ეფრემისეული “მიზეზისგანი”, არსენისეული “მიზეზოვანი” და პეტრიწისეული “ნამიზეზევი”).

- 18.სწავლება ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასის განკაცების შესახებ (ზოგადი მიმოხილვა). გამოსყიდვის დოგმატი.
- 19.ძე ღმერთის განკაცება როგორც აღსრულება ყოვლადწმინდა სამების ერთი ნებისა, ერთი განზრახვისა, ერთი მოქმედებისა.
- 20.განკაცებული ძე ღმერთი – ერთი ჰიპოსტასი ორი ბუნებით (ზოგადი მიმოხილვა).
- 21.განკაცება – მღვდელმოქმედება თავისი ორი გაგებით: (I) მამაღმერთმა ანუ “მცხებელმა” ძე ღმერთს ანუ “ცხებულს” სცხო სულიწმინდით ანუ “საცხებლით”; (II) მაცხოვრის ერთ ჰიპოსტასში როგორც “ცხებულში” საღვთო ბუნებამ სცხო კაცობრივ ბუნებას.
- 22.განკაცების ჟამის საღვთისმეტყველო განმარტება (წმ. ირინეოს ლიონელის და წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლება).
- 23.ტერმინი “ენანთროპისის”, ანუ “განკაცება” და ამ შინაარსის დამტყვი სხვა ქართული ტერმინები: “განხორციელება”, “ხორცქმნა”, “ხორციელქმნა”, “ხორცისა შთაცუმად”, “ხორცთშესხმად”, “განსხეულებად”, “კაცქმნად”.
- 24.დოგმატი ძე ღმერთის ორი ბუნების შეერთების შესახებ (მონოფიზიტური და ნესტორიანული გაუკუღმართებანი და მართლმადიდებლური სწავლება).
- 25.დოგმატი ორბუნებოვანი ძე ღმერთის ერთი ჰიპოსტასის შესახებ (ნესტორიანული გაუკუღმართება და მართლმადიდებლური სწავლება).
- 26.დოგმატი განკაცებული ღმერთის ორი ბუნებითი ნებისა და ორი ბუნებითი მოქმედების (საქმის) შესახებ (მონოთელიტობის მწვალებლური არსი).
- 27.იესო ქრისტეს სიკვდილი – ჩვენი გამომსყიდველი მსხვერპლი. ჯვარცმის საიდუმლო. ჯვარი – კაცობრიობის გამომხსნელი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი ჯვრისა და ჯვარცმის შესახებ. ჯვრის ნიშის სიმბოლური განმარტებანი. მაცხოვრის სხეულის ვნებისა და მისი ღმრთეების უვნებლობის შესახებ.
- 28.მაცხოვრის მკვდარი სხეულის განუხრწნელობა საფლავში. იმის შესახებ, რომ სიტყვა-ღმერთის ღმრთეება განუყრელი დარჩა მისი ადამიანური სულისა და სხეულისგან მაშინაც, როდესაც კაცობრივი ბუნებით მოკვდა უფალი ანუ როდესაც მისი ადამიანური სული განშორდა მისსავე სხეულს. იმის შესახებ, რომ უფლის კაცობრივი სიკვდილის დროსაც მისი ჰიპოსტასი კვლავ ერთია.
- 29.დოგმატი ძე ღმერთის კაცობრივი ბუნების შესახებ აღდგომამდე და აღდგომის შემდეგ.
- 30.ჯოჯოხეთში მაცხოვრის ჩასვლის საღვთისმეტყველო განმარტება. სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა. მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა. მართალთა სულების გამოყვანა და გამოხსნა ჯოჯოხეთიდან.
- 31.მაცხოვრის ზეცად ამაღლება თავისი აღდგომილი ადამიანური ბუნებით და ამავე ბუნებით მამაღმერთის მარჯვნივ დაჯდომა. ცათა სასუფეველის გახსნა. საღვთისმეტყველო განმარტება “ცათა სასუფეველისა” და “ღვთის სასუფეველის” შესახებ. საღვთისმეტყველო განმარტება მამისეული სახლის მრავალი სავანის შესახებ.
- 32.ძე ღმერთის განკაცების სოტერიოლოგიური (მაცხოვნებლობითი) არსი.
- 33.წმ. დიონისე არეოპაგელის სწავლება კატაფატური (“წართქმითი”, “წამებითი”, ანუ დადებითი, მტკიცებითი) და აპოფატური (“უკუთქმითი”, ანუ უარყოფითი, ნეგატიური) ღვთისმეტყველების შესახებ.
- 34.ხატის რაობა და ტერმინოლოგიური მნიშვნელობანი (ხატი – «მორფე»; ხატი – «ხარაკტერ»; ხატი – «ეიკონ»).
- 35.სწავლება ქმნილების შესახებ (ზოგადი მიმოხილვა). ქმნილების ორნაწილეობა (უხილავი და ხილული შესაქმე).

- 36.სწავლება ზეციურ ძალთა შესახებ. ანგელოზური იერარქია.
- 37.სწავლება დაცემულ ძალთა შესახებ. ანგელოზთა დაცემა – გამოუსყიდველი და მარადიული დაცემა (ორიგენისტული აპოკატასტასისის უარყოფა).
- 38.სწავლება ადამიანის, როგორც შესაქმის გვირგვინის, შესახებ. ადამიანის ორბუნებოვნება ანუ დიქოტომია (ტრიქოტომიის ცთომილება). ადამიანის სულის “სამნაწილეობა” (გულისწყრომითი, გულისთქმითი და გონითი ანუ პნევმური “ნაწილები”). ტერმინ “სამშვინველისა” და ტერმინ “სულის” ურთიერთმიმართების მართებული გააზრების შესახებ ქართულენოვან საღვთისმეტყველო ტრადიციაში.
- 39.ეკლესიის მამათა დოგმატური სწავლება ადამიანის სულის ღმრთივექმნილობის შესახებ (შესაქ. 2.7). საღვთო შთაბერვის მართლმადიდებლური განმარტება. ორიგენისტული მეტემფსიქოზისის ანუ კაცობრივ სულთა პრეეგზისტენციისა და ტერტულიანესეული ტრადუციანიზმის მწვალებლური არსი.
- 40.სწავლება სასუფევლის შესახებ. სამოთხისა და სასუფევლის ურთიერთმიმართება ეკლესიის მამათა სწავლებაში.
- 41.სწავლება სამოთხის შესახებ. ორბუნებოვნება სამოთხისა. ხე სიცოცხლისა და ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა.
- 42.სწავლება ადამიანის დაცემის შესახებ. დაცემის მიზეზები (გარეგანი მაცთური; ხორციელი ქვედამზიდველობა; ცოდნაში ნაკლებობა).
- 43.ცოდვის რაობა, ცოდვა – ბუნების გარეგანი, მაგრამ პიროვნულად არჩევითი.
- 44.სიკვდილი და გარდაცვალება. ადამიანის სულის მდგომარეობა გარდაცვალების შემდეგ ვიდრე მეორედ მოსვლამდე. კერძო სამსჯავრო. მოძღვრება საზვერეთა და მეზვერეთა (ჰაერისმცველთა) შესახებ.
- 45.სწავლება ჯოჯოხეთის შესახებ. ჯოჯოხეთისეული ტანჯვის სულიერი და ფიზიკური გამოვლინებანი. ხარისხები ჯოჯოხეთში. ჯოჯოხეთის ტანჯვის გამომხატველი სიმბოლოები. ჯოჯოხეთის მდებარეობა.
- 46.ჯოჯოხეთის ტანჯვისა და თავად ჯოჯოხეთის მარადიულობა (ორიგენეს ცრუსწავლება ჯოჯოხეთის დროებითობის შესახებ).
- 47.საუფლო დღესასწაულების (შობა, ნათლისღება, აღდგომა) დოგმატური არსი.
- 48.დოგმატი ეკლესიის შესახებ. ტერმინი ეკლესია და მისი ეტიმოლოგიურ-საღვთისმეტყველო გაგება (ეტიმოლოგია: “გამოხმობა”; საღვთისმეტყველო გაგება: კაცობრიობის გამოხმობა ცოდვის ძილისგან ახალშობისა და ცხოვნების წიაღისკენ). ეკლესია – მაცხოვრის სხეული. თავი ეკლესიისა – მაცხოვარი იესო ქრისტე. ეკლესიის ერთიანობა და დაურღვეველობა უფლის კვართისებრ. შვიდი საეკლესიო საიდუმლოს ღვთივდაფუძნებულობა.
- 49.მღვდელი – შეკვრისა და განხსნის სულიერი ძალმოსილების მქონე. მღვდელმოქმედებითი მადლის გარდაუვალობა და ერთადერთობა ცხოვნების აღსრულებაში. ეკლესია – მღვდელმოქმედების წიაღი. ზეციური მღვდელთმთავრობა და საეკლესიო მღვდელთმთავრობა. მღვდელმოქმედებითი შეწევნა გარდაცვლილთათვის.
- 50.მღვდლობის საიდუმლო. მაცხოვარი ბუნებითი მეუფე და ბუნებითი მღვდელთმთავარი – “მღვდელი წესსა ზედა მელქისედეკისსა” (ფს. 109.4). მღვდლობა – ქრისტეს მონაცვლეობა. ქრისტე – ცხებული.
- 51.მართლმადიდებლური ნათლისღების საიდუმლო. შესაბამისი ტერმინლოგია. მაცხოვრისეული ნათლისღება იორდანეში. მართლმადიდებლური ნათლისღების წინასახენი.
- 52.ნათლისღება და კათაკმევლობის ინსტიტუტი. მართლმადიდებლური ნათლისღება როგორც პირველცოდვის აღმოფხვრის ერთადერთი საშუალება. მართლმადიდებლური

ნათლისღების გარდაუვალობა ცხოვნებისთვის. მართლმადიდებლური ნათლისღების აღსრულების კანონიკური წესი და გამონაკლისი შემთხვევები.

53. მირონცხების საიდუმლო – სულიწმინდის ბეჭედი. მისი განუმეორებლობა. იმის შესახებ, თუ ვინ, როდის და ვისზე ასრულებს მირონცხების საიდუმლოს.

54. ქორწინების საიდუმლო. იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აღასრულოს ქორწინების საიდუმლო და რა მოეთხოვებათ დასაქორწინებელთ. იმის შესახებ ზოგადად, თუ როდის არ არის ნებადართული ქორწინება.

55. ზეთის კურთხევის საიდუმლოს ღვთივდაფუძნებულობა. მისი დანიშნულება.

56. სინანულის საიდუმლო. სინანული და აღსარება. სინანული – მეორე ნათლისღება. ნაყოფი სინანულისა. კათოლიკური ცრუსწავლება ინდულგენციების შესახებ.

57. ზიარების საიდუმლო. შესაბამისი ტერმინოლოგია. ზიარების ანუ ჟამისწირვის წეს-განგებანი. საიდუმლო სერობა. შეწირული პურისა და ღვინის არსობრივი გარდაქმნა მაცხოვრის სისხლად და ხორცად წმინდა ლიტურგიის გზით.

58. დოგმატი ხატთაყვანისცემის შესახებ. ხატმებრძოლობის მწვალებლური არსი.

59. შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება და ამ კრებებზე განხილული ცენტრალური დოგმატური საკითხები.

60. ჟამთა აღსასრულს უფლის დიდებით მოსვლის ანუ მისი მეორედ მოსვლის საიდუმლო. ეკლესიის მამათა ესქატოლოგია. საყოველთაო განკითხვის არსი. ცოდვილთა მარადისი ტანჯვა, წმინდანთა მარადისი სუფევა.

### ბილეთის ნიმუში დოქტურანტურაში შემსვლელთათვის

1. დოგმატი ძე ღმერთის კაცობრივი ბუნების შესახებ აღდგომამდე და აღდგომის შემდეგ.
2. წმ. დიონისე არეოპაგელის სწავლება კატაფატური (“წართქმითი”, “წამებითი”, ანუ დადებითი, მტკიცებითი) და აპოფატური (“უკუთქმითი”, ანუ უარყოფითი, ნეგატიური) ღვთისმეტყველების შესახებ.
3. სწავლება ადამიანის დაცემის შესახებ. დაცემის მიზეზები (გარეგანი მატურის; ხორციელი ქვედამზიდველობა; ცოდნაში ნაკლებობა).

#### ლიტერატურა:

1. წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.
2. ედიშერ ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბილისი, 1996.
3. [Митрополит Макарий \(Булгаков\); Православно-догматическое Богословие, том 1;](#) Санкт-Петербург, 1883.
4. [Митрополит Макарий \(Булгаков\); Православно-догматическое Богословие, том 2;](#) Санкт-Петербург, 1883.